



თიბისი ფონდი

დაზარალებულთა მხარდასაჭერად

ინფორმაცია პრესისათვის

თიბისი ფონდი

მის: თბილისი, მარჯანიშვილის 7

ტელ: 27 27 27

ფაქსი: 27 27 10

ელ-ფოსტა: info@tbcfund.com.ge

www.tbcfund.ge

თიბისი ფონდის ახალი ინიციატივა

წეროვანში მცხოვრები 5 დევნილი მისტიანა და უშგულს მოინახულავს

პრესრელიზი

თბილისი, 8 აპრილი, 2016. - თიბისი ფონდი აგრძელებს წეროვანში მცხოვრებ დევნილ ახალგაზრდებზე ზრუნვას და 9 - 10 აპრილს წეროვანის სკოლის 5 წარჩინებულ მოსწავლეს სვანეთის სათხილამურო კურორტზე დაუვინყარ 2 დღიან არდადეგებს მოუწყობს. ფონდი მათთვის სხვადასხვა საგანგებო გასართობ და შემეცნებით ღონისძიებას გეგმავს: მოსწავლეები დაათვალიერებენ მესტიას, უშგულს და სვანეთის სხვა ღირსშესანიშნაობებს. შეხვედებიან მწერალ ზვიად რატიანს, რომელიც მათთვის პოეზიის საღამოს გამართავს.

მოგზაურობის ბოლოს, მოსწავლეები სვანეთში მიღებულ შთაჭდილებებს ესეუბნის სახით წარმოადგენენ. გამარჯვებული ნაშრომი პრესაში გამოქვეყნდება, ხოლო მისი ავტორი თიბისი ფონდისგან საჩუქარს მიიღებს.

საქველმოქმედო ორგანიზაცია “თიბისი ფონდი” 2008 წელს ავვისტოს ომის შედეგად დაზარალებულთა დახმარების მიზნით შექმნა და დღემდე წარმატებით აგრძელებს საქმიანობას დევნილთა დასახმარებლად:

ამჟამად ხორციელდება თიბისი ფონდის პროექტი “დევნილი ახალგაზრდების პროფესიული განათლება”, რომლის ფარგლებში წეროვანის სკოლის 18 კურსდამთავრებული პრაქტიკულ სწავლებას გადის საქართველოს წამყვან კომპანიებში. ფონდის დახმარებით წეროვანის სკოლაში ჩასაბურ მუსიკალური ინსტრუმენტების ორკესტრი ჩამოყალიბდა და უახლოეს მომავალში, პატარა მუსიკოსები, თავის პირველ კონცერტს გამართავენ.

გარდა ამისა, ფონდის დაფინანსებით წეროვანში მცხოვრები ორმოცდათხუთმეტი მოსწავლე ახალგაზრდის კულტურის სახლში სიმღერის, ცეკვის, მხატვრული კითხვის, კერვის, ქსოვისა და ქარგვის წრეებში არიან გაერთიანებული.

აქტიურად ხორციელდება დევნილი ახალგაზრდების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა. მიმდინარეობს წეროვანის საშუალო სკოლაში უცხო ენის, ხელოვნებისა და ისტორიის ინტეგრირებული გაკვეთილები. რაც ბავშვებს თავიანთი შემოქმედებითი ნიჭისა და უნარების გამოვლენასა და მომავალი პროფესიის სწორად არჩევაში, ასევე, ზოგადი განათლების დონის ამაღლებაში ეხმარება.

თიბისი ფონდის დონორები:



საქველმოქმედო ორგანიზაცია "თიბისი ფონდი" - დაფუძნდა 2008 წ. 13 ავვისტოს, თიბისი ბანკის მიერ, რომელმაც პირველი შენატანი განახორციელა ფონდში 5 მილიონი ლარის ოდენობით. თიბისი ფონდის მიზანია შიდა ქართულში ავვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული ბავშვებისათვის გრძელვადიანი დახმარების პროგრამების განხორციელება.